№ 262 მთავრობის ორგანო   დემოკრატიული გაზეთი   წელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 10 მან.   ხუთშაბათი, ნოემბრის 18 1920 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ზე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 120 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20 %, რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—83.

წმინდა ნინოს მე-7 გიმნაზიის 4 კლასის გულ დათუთქულნი მოწაფენი აუწყებენ მეგობრებს 4 კლასის მოწაფის ამხანაგის

## ლიზიკო ვარსამაშვილის

უდროოთ გარდაცვალებას.

პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 6 საათ. წავკისის ქუჩა № 7. გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს, 18 ნოემბერს 10 საათ. დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზედ.

3755   1—1

სახელმწ. თეატრი.

ხუთშაბათს, 18 ნოემბერს

„კოტე და ქეთო“

პარასკევს, 19 ნოემბერს პირველად ქართულ ენაზე

„ლალატი“

შაბათს, 20 ნოემბერს ოპერა მუშებისათვის

„რუსალკა“.

კვირას, 21 ნოემბერს მორდკინის ბალეტი

„კოპელია“

ორშაბათს, 22 ნოემბერს „ლალატი“ მეორეთ

972 1—1   დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს.

## სახელმწიფო ოპერა.

პარასკევს, 19 ნოემბერს და ორშაბათს, 22 ნოემბერს
პირველად ტფილისში ოპერა ქართულ ენაზედ

## ლალატი

მუსიკა იპოლიტოვ-ივანოვისა, თარგმანი კ. ფოცხვერაშვილის მიერ. სიუჟეტი აღებულია ცნობილ დრამის ალ. სუმბათაშვილის „ლალატიდან“.

ზეინაბი—ალეშკო, რუქაია—ბურაგო-ცეხანოვსკაია, ირაკლი—სარაჯიშვილი, ოთარ-ბეგ—ელიოზაშვილი, სულეიმანი—საბინინი.

ახალი დეკორაციები და კოსტიუმები.   ბალეტს დასდგამს მ. მორდკინი.

ოპერას დასდგამს ა. რ. წუწუნავა.

დირიჟორი ნ. ა. ხტოლერმანი.   ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

972 1—1   სახელმწიფო ოპერის ადმინისტრაცია.

## რესპუბლიკის ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტის სხდომა დანიშნულია ხუთშაბათს, 18 ნოემბერს, საღამოს სრულ 7 საათზე ქალაქის თვითმართველობის სხდომის დარბაზში.

კომიტეტის სრული შემადგენლობა აუცილებლად უნდა დაესწრონ. კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ორგანიზაციისა და დაწესებულებათა წარმომადგენელთ.

რესპუბლიკის თავდაცვის საქმეში წვლილის შემოტანით ვინც დაინტერესებულია—ყველას შეუძლია კრებას დაესწროს.

ამასთანავე რესპუბლიკის პროვინციის ყველა კომიტეტებმა უნდა მოახდინოს კრებები და სადაც არ არის უნდა შეადგინოს ახალი კომიტეტები. დირექტივებს მიიღებენ ცენტრიდან.

995 1—1   კომიტეტის პრეზიდიუმი.

## მომარაგების სამინისტრო ამით აცხადებს,

რომ ქუთაისის გუბერნიაში, სოხუმისა და ბათუმის ოლქებში სიმინდის და სხვა ხორბლეულობის ყიდვა-გაყიდვა და გადატან-გადმოტანა სრულიად თავისუფალია. თავისუფალია აგრეთვე აღნიშნულ ადგილებიდან სიმინდისა და სხვა ხორბლეულობის გატანა რესპუბლიკის ყველა ქალაქებში და სოფლებში

ამ დადგენილების დამრღვევნი პასუხის გებაში იქნებიან მიცემული.

მომარაგების მინისტრის ამხანაგი ჭავჭანიძე.

994 3—1

## სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთველის პრ. № 21. ტელ. 8-07)

დღეს, ნოემბრის 18-ს

## ბუშინდელნი

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.   რეჟისორი მ. ქორელი.

შაბათს, ნოემბრის 20-ს

## უბვირბვინო მეფენი

ალ. შანშიაშვილისა.

ახალი დეკორაციები მხატვრის გალ. ხიდაშელ-ერისთავისა.

971 1—1   ბილეთები კასაში.

## ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების ზედამხედველი კომიტეტი ამით აცხადებს,

რომ 20 ამ ნოემბერს დანიშნული საზოგადო რწმუნებულთა ყრილობა

## გადადებულია

რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის ბრძანებით შემდეგ დროისათვის.

ზედამხედველი კომიტეტი.

987   2—2

## საჯარო ვაჭრობა

8.000 ვედრო ვარცისის მამულის ძველ ღვინოზედ დანიშნული არის 25 ნოემბერს 12 საათზე.

მთავრობის შენობაში სახელმწიფო მამულთა განყოფილებაში. ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე სახელმწიფო მამულთა განყოფილებაში.

3708   2—2

### ოფიციალური განყოფილება.

## ბანკარგულებანი

**ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის მმართველის უფროსისა.**

20 სექტემბერი, 1920 წ., № 49.

**გამწესებულნი არიან:** ყოფილი მოხელე გალაქტიონ კობაიძე განყოფილების უფროსად ანანურში, ანა ჩიქოვანი მე-6 ხარისხის მოხელის თანამდებობის აღმასრულებლად არტანუჯში, ყოფილი მოხელე ალექსანდრე ალხაზოვი მე-6 ხარისხის მოხელეთ გაგრაში, ყოფილი ფოსტალიონი ალექსანდრე კობაიძე და იროდიონ მელაძე, ლუკაშიო ბუნტური მეორე კატეგორიის ფოსტალიონებათ: კობაიძე ტფილისის ფოსტის კანტორაში, მელაძე გუდაუთში, ბუნტური მუხრანში. გალაქტიონ და ალექსანდრე კობაიძეები 21 სექტემბრიდან დანარჩენნი ოთხნი 1 ოქტომბრიდან.

**დანიშნულნი არიან:** II ხარისხის მოხელე გორის კანტორისა ვასილ კონსტანტინოვი მეხუთე კლასის უფროსის თანაშემწეთ ქ. ახალქალაქში, ბორჯომის ფოსტალიონები: მიხეილ ელიზბარაშვილი, დავით ჰიპაშვილი მე-6 ხარისხის თანამდებობ. აღმასრულებლად ელიზბარაშვილი თიანეთში, ჰიპაშვილი—სოხუმში. მეორე კატეგორიის ფოსტალიონი აბასთუმნისა ბესარიონ მგალობლიშვილი პირველ კატეგორიის ფოსტალიონათ აბასთუმანში, ზესტაფონის 5 ხარისხის მოხელე ივანე გაბუნია, სოხუმის II ხარისხის სოლომონ გამრეკელაშვილი, გაბუნია IV ხარისხით, გამრეკელაშვილი I ხარ. იმავე კანტორებში. ქუთაისის III ხარ. მოხელე სერგო ხოხიაშვილი, სოხუმის IV ხარ. ნიკოლოზ ფარცხალაძე და VI ხარ. ალექსანდრე გვასალია განყოფილების უფროსებათ: ხოხიაშვილი ჩხარში, ფარცხალაძე აჭარის—წყალში და გვასალია ქედაში. გამრეკელაშვილი 1 სექტემბრიდან, კონსტანტინოვი, ელიზბარაშვილი, ჰიპაშვილი, ფარცხალაძე და გვასალია 21 სექტემბრიდან, მგალობლიშვილი, გაბუნია და ხოხიაშვილი 1 ოქტომბრიდან 1920 წ.

**გადაყვანილნი არიან:** ანანურის უფროსი ეფრემ გვეტაძე, ფოსტალიონები: ქიათურისა ნიკოლოზ ბასკანჩალაძე, საგარეჯოსი—იოსებ სულავა, ეკატერინოვკისა შალვა ვაშაკიძე, ტფილისის ფოსტის კანტორისა ანდრია ბალავაძე, მოხელეები: VI ხარ. ხონისა ალექსანდრე ლიფონავა, ცხინვალისა ვასილ გულიშვილი, ტფილისის ფოსტის კანტორის IV ხარ. თამარა კეზელი იმავე წოდებით: გვეტაძე—ქვემო-ჭალაში, ბასკანჩალაძე—ქვემო-მაჩხაანში, კეზელი ს. ახალქალაქში, სულავა ბორჯომში, ბალავაძე ეკატერინოვკაში, ლიფონავა სოხუმში, გულიშვილი გურჯაანში, ვაშაკიძე ტფილისის ფოსტის კანტორაში. გვეტაძე,—ბასკანჩალაძე, კეზელი, სულავა, ლიფონავა, გულიშვილი 21 სექტემბრიდან, ბალავაძე და ვაშაკიძე 1 ოქტომბრიდან. ბასკანჩალაძე, ლიფონავა, გულიშვილი სამსახურის სარგებლობისათვის, დანარჩენნი ხუთნი თანახმად თხოვნისა.

**ამორიცხულნი არიან:** ტფილისის ფოსტის კანტორის ფოსტალიონი იასონ ქობულაშვილი სხვა უწყებაში გადასვლის გამო 1 სექტემბრიდან.

**დათხოვნილნი არიან სამსახურიდან:** გუდაუთის ფოსტალიონი გიორგი რეკვავა VI ხარისხის მოხელე არტაანის კანტორისა მიხეილ ბახჩიევი, რეკვავა თანახმად თხოვნისა, ბახჩიევი არტაანში წასვლაზე უარის განცხადების გამო 6 სექტემბრიდან.

სამმართველოს უფროსი **მგელაძე.**

—

**საბიუჯეტო-სახაზინო ნაწილის უფროსისა.**

14 სექტემბერი, 1920 წ. № 288.

**მიღებულ იქმნას:** საბიუჯეტო-სახაზინო-ნაწილში, დროებით დაქირავებული რეგისტრატორის თანამდებობაზედ მილიცა სილოვანის ასული შუბლაძე ამა წლის 1-ლ სექტემბრიდან.

17 სექტემბერი, 1920 წ. № 291.

**დანიშნულ იქმნას:** სოხუმის ხაზინაში რეგისტრატორის თანამდებობაზე მარგარიტა ყარამანის ასული გაბუნია ამა წლის ივლისის 1-დან.

№ 293.

**დაინიშნოს:** ონის ხაზინის პირველი ხარისხის ბუჰალტერი დავით დიონისის ძე ჯაფარიძე იმავე ხაზინაში უფროს ბუხჰალტრის თანამდებობაზედ ამა წლ. სექტემბრის 1-დან.

№ 294.

**დაინიშნოს:** ონის ხაზინის მე-2 ხარისხის მოლარე კონსტანტინე ივლიანეს ძე ჯაფარიძე იმავე ხაზინაში 1 ხარისხის ბუხჰალტრის თანამდებობაზედ ამა წლ. სექტემბრის 1-დან.

№ 295.

**დაინიშნოს:** ონის ხაზინის რეგისტრატორი ფეოდორე ალექსანდრეს ძე კიკოშვილი იმავე ხაზინაში მე-2 ხარისხის მოლარეთ ამა წლის სექტემბრის 1-დან.

№ 296.

**დაინიშნოს:** ქუთაისის ხაზინაში რეგისტრატორის თანამდებობაზედ მოქალაქე ალექსანდრე ივანეს ძე არხიპოვი ამა წლის სექტემბრის 1 დან.

№ 297.

**დათხოვნილ იქმნას:** თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან თანახმად თავისი თხოვნისა, ქუთაისის ხაზინის მე-2 ხარისხის მოლარე გიორგი დავითის ძე გველესიანი ამა წლის სექტემბრის 6-დან.

№ 298.

**დაინიშნოს:** ქუთაისის ხაზინის მოანგარიშე მოხელე აკაკი ივანეს ძე მენაბდე იმავე ხაზინაში მე-2 ხარისხის მოლარეთ ამა წლის სექტემბრის 16-დან.

№ 299.

**დაინიშნოს:** ქუთაისის ხაზინის რეგისტრატორი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ბაზაძე იმავე ხაზინაში მოანგარიშე მოხელეს თანამდებობაზედ, ამა წლის სექტემბრის 16 დან.

№ 300.

**დანიშნულ იქმნას:** სენაკის ხაზინაში რეგისტრატორის თანამდებოაბზედ ნადია ერასტეს ასული ლიფონავა ამა წლის სექტემბრის 16 დან.

საბიუჯეტო-სახაზინო ნაწილის უფროსის მაგიერ **დ. ქუთათელაძე.**

---

**ქვაბლიანის უბნის მომრიგებელ მოსამართლისა.**

**დაინიშნოს:** მოქალაქე რუბენ სამსონის ძე აბრამიშვილი ქვაბლიანის უბნის სამომრიგებლო სასამართლოს მდივნათ პირველ ოქტომბრიდან.

**დაინიშნოს:** მოქალაქე ნადეჟდა ეპიფანეს ასული აბრამიშვილი ქვაბლიანის უბნის სამომრიგებლო სასამართლოს გადამწერათ პირველ ნოემბრიდან ა. წ.

**დაინიშნოს:** მოქალაქე ევტიხი სიმონის ძე ბაქრაძე ქვაბლიანის უბნის სამომრიგებლო სასამართლოს გზირათ პირველ ოქტომბრიდან ა. წ.

მომრიგებელი მოსამართლე **კ. აბრამიშვილი.**

---

**კორბოულის უბნის მომრიგებელ მოსამართლისა.**

№ 6.

კორბოულის უბნის სამომრიგებლო სასამართლოს მანქანაზე გადამწერი ბიქტორ ივანეს ძე მულაძე თანახმათ მისივე თხოვნისა განთავისუფლებულ იქნეს სამსახურიდან 1 ამა ოქტომბრიდან ამავე რიცხვიდან გადაყვანილია თავისუფალ მანქანაზე გადამწერის ადგილზე ამავე სასამართლოს გზირი გრიგოლ (გიორგი) ბესარიონის ძე მაჭარაშვილი, ხოლო ამ უკანასკნელის ადგილზე ამავე რიცხვიდან ინიშნება ლევან დავითის ძე ქადაგიძე თანახმათ მისი თხოვნისა.

მომრიგებელი მოსამართლე **გ. წერეთელი:**

---

**სამეგრელოს ოლქის სენაკის უბნის მომრიგებელ მოსამართლისა.**

№ 2620.

**დათხოვნილია:** სრულიად სამსახურიდან, თანახმად თავისი თხოვნისა სენაკის უბნის სამომრიგებლო სასამართლოს კანცელარიის გადამწერი ეპიფანე გერასიმეს ძე ლომია ამა 12 ივნისიდან.

მომრიგებელ მოსამართლე **გვათუა.**

---

**ქუთაისის მაზრის მილიციის უფროსისა.**

22 ოქტომბერი, 1920 წ., № 565.

**დათხოვნილია:** სამსახურიდან ტყიბულის რაიონის მილიციონერი ისიდორე მოწენიძე, ალათი და კალენიკა ჩხიკვაძეებისადმი უდიერი და უკანონო მოპყრობისათვის პასუხის გებაში მიცემით.

ქუთაისის მაზრის მილიციის უფროსის თანამ. ალმასრი **მაჭავარიანი.**

---

**არა ოფიციალური განყოფილება.**

---

# ისევ ფრონტი!

დიდი ხანი არაა, რაც მოვისვენეთ, ფრონტზე სიწყნარე ჩამოვარდა, ცოტა თავისუფლად ამოვისუნთქეთ, შინაური საქმეების მოწყობას შევუდექით, მაგრამ მტერს შეშურდა. და აი გაანადგურა რა მეზობელ სომხეთის რამდენიმე დაბა-ქალაქი, ჩვენკენაც მოიწევს.

ჩვენ არ ვიცით გადმოლახავს **მტერი** ჩვენს საზღვრებს თუ არა, გაბედავს ის **საქართველოზე** თავდასხმას თუ არა, მაგრამ **გათამამებულმა სომხეთზე** დროებითი გამარჯვებით, შესაძლებელია არც ჩვენ დაგვტოვოს უყურადღებოთ და მოინდომოს თავისუფალ საქართველოში შემოჭრა.

თავისუფალი, ძლიერი საქართველო! ეს ხომ შიშის ზარია ოსმალეთის ავანტიურისტებისათვის. და თუ მან მართლაც გაბედა ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებზე გადმოსვლა, ჩვენ ისევ გაგვიჩნდება ფრონტი.

ჩვენი სამხედრო ძალა კიდევ ერთხელ დაუმტკიცებს, როგორც თავხედ მტერს, ისე მთელ ქვეყანას, რომ ის არავის შეესევა, ხოლო შემოსეულ მტერს კი შესაფერ პასუხს გასცემს.

ჯერ ომი არ დაწყებულა... თოფი არ გავარდნილა, მაგრამ მდგომარეობა სერიოზულია.

გამოცხადდა მობილიზაცია. ერთსულოვნად ჩატარებული მობილიზაცია თავდებია ომში გამარჯვების.

ზურგის გამაგრება, მთელი რესპუბლიკის ფრონტთან გადაბმა დაკავშირება—აი, ჩვენი დღევანდელი ლოზუნგი.

ფრონტის დამხმარე კომიტეტებო! განაახლეთ თქვენი მუშაობა-მოქმედება.

ჩვეულებრივი, უხვად დამხმარე ხელი გაუწოდოთ შინ დარჩენილებმა—ფრონტზე წასულთ. ვერავითარმა შინაურმა დარდმა და გაჭირვებამ ვერ უნდა დაჩრდილოს ფრონტის დახმარების, ფრონტის გამაგრების საქმე.

ფრონტის დამხმარე უმთავრესი კომიტეტი ტფილისში ანახლებს რა მუშაობას,—მოუწოდებს ყველას დაუყონებლივ შეუდგენ მუშაობას.

**პრეზიდიუმი.**

---

# რესპუბლიკის თავდაცვისათვის

სამხრეთით საფრთხეს ყოველ წუთს უნდა ველოდეთ; ამისათვის აუცილებელი საჭიროა რათა მთელი ერი იდგეს ფეხზე საომრად. რომ ძალას ძალა დაუპირდაპიროთ; უნდა ერთხელ კიდევ შევაჩეროთ შავი რეაქციის ჩვენსკენ მისწრაფება თუ მტერი თავს დაგვესხმის და მოინდომებს მსხვერპლით მოპოვებულ თავისუფლებისა და დემოკრატიულ სამშობლოს გაპარტახებას. დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ საქართველოს დემოკრატიას, მის მთავრობის ომი ძაგს, ეზიზღება, რომ მას ვერასოდეს ვერ იპყრობს იმპერიალისტური სულის კვეთება; ეს ნათლად დაგვანახვა წარსულმა ომებმა; საქართველო მუდამ უწყინარი, ნეიტრალურია, ეს ნათლად ჩარის მოხსენებული აგრეთვე მის დამოკიდებულების აქტშიაც. მაგრამ ნეიტრალობა არ ნიშნავს, რომ კარზე მოსულ მტერს ჯეროვანი პასუხი არ გავსცეთ. მთავრობა, რა თქმა უნდა, ყოველგვარ ზომებს ღებულობს, ომის თავიდან ასაცდენად, მაგრამ რა შედეგი მოყვება მას ჯერ დანამდვილებით არ ვიცით, რადგანაც ვერაგი მტერი უფრო მეტად ანგარიშს გაუწევს ჩვენი შეიარაღებულ ძალებს ვინემ დემოკრატიულის ენით, მშვიდობიან მოლაპარაკებას. ამისათვის ვიმეორებთ აუცილებელი საჭიროა ომისათვის სამზადისი; მობილიზაცია გამოცხადდა; მას მთელი ერი გამოეხმაურა; გაწვეული ახალგაზრდობა აღტაცებით, სიმღერა-სიცილით მიეშურება ჯარის ნაწილებისაკენ; მას კარგად აქვს წარმოდგენილი საფრთხის გამო მოსალოდნელი მწვავე შედეგები; საქართველოს რესპუბლიკას ნამდვილ, მის მოსიყვარულე მოქალაქეს თავზე უფრო დემოკრატიული სამშობლო უყვარს. მან ეს არა ერთხელ დაამტკიცა.

მაგრამ ფრონტზე გასამარჯვებლად არ კმარა შეიარაღებული ძალა, საჭიროა აგრეთვე ზურგის სიმაგრეც. დიდი მნიშვნელობა აქვს ფრონტისათვის თუ როგორი სიფაქიზის გრძნობით და ალსავსე სიყვარულით უყურებს ფრონტს ზურგში დარჩენილი მცხოვრებნი ამისათვის საჭიროა ეხლავე შეუდგეთ ფრონტის სიძლიერისათვის ზურგშიაც სამზადისს; ეხლავე უნდა ამუშავდეს ჩვენში მომქმედი ყველა სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციები. ვისაც როგორ შეუძლია ისე უნდა შეუწყოს ხელი რესპუბლიკის თავდაცვას. ომში მონაწილეობა მარტო შეიარაღებაში არ გამოიხატება; შეიძლება ომში მონაწილეობა აგრეთვე სხვა და სხვა სახით. საჭიროა რესპუბლიკის დამხმარე კომიტეტის საჩქაროდ მუშაობის განახლება; ამ მიზნით დღეს ტფ ქალაქის თვითმართველობის დარბაზი დანიშნულია დამხმარე მთავარ კომიტეტის კრება, რომელზედაც მოწვეულია ყველა სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ეს კომიტეტი, როგორც ვიცით შესდგა „წითელ" ადერბეიჯანთან ომის დროს; მან ვერ მოასწრო თავის მოქმედების ლიკვიდაცია, რომ კიდევ დადგა დრო მისი მუშაობის განახლების საჭიროებისა. კომიტეტი ამ თავითვე უნდა შეუდგეს ორგანიზაციულად საქმის მოწყობას; უსათუოდ უნდა დაარსდეს ყველა პროვინციებში მთავარ კომიტეტის განყოფილებანი, რომლებსაც მჭიდრო კავშირი ექნება მთავარ კომიტეტთან, დრო საშურია; ყველა უნდა გავერთიანდეთ დამხმარე კომიტეტის გარშემო, არც ერთი მოქალაქე არ უნდა დარჩეს, რომ არ მიიღოს მონაწილეობა თავდაცვის საქმეში, ამას გვავალებს სამშობლოს ეროვნული თავისუფლება და ჩვენი დემოკრატიული წეს-წყობილების დაცვის ინტერესები.

**მებრძოლი.**

---

# უცხოეთი

(საინფორმაციო ბიუროსაგან).

**მღელვარება ისპანიაში.**

სიძვირის გამო ქალაქ ზამორეში ქალებისა და ბავშვების მანიფესტაცია მოხდა. მანიფესტანტებმა დაიკავეს სადგური და სურსათით სავსე ვაგონები. წესიერების აღსადგენად ჯარები გამოიწვიეს.

**იაპონია და ჩინეთი.**

იაპონიის მთავრობამ დაადგინა მოსპოს იაპონიასა და ჩინეთის შორის დადებული სამხედრო კონვენცია, რომელიც ჩინეთის ჯარს იაპონიის კონტროლის ქვეშ აყენებდა. ამასთანავე გადაწყვეტილია მანჯურიიდან იაპონიის ჯარების გაწვევა.

**ახალი კომბინაციები.**

აქ ამ დღეებში მოლაპარაკება სწარმოებდა პეტლიურას წარმომადგენლებსა და გერმანიის მთავრობის შორის. ბერლინში ყოფილი გეტმანი სკოროპადსკი გაჩნდა. საერთოდ ბერლინი გახდა ცენტრად იმ უკრაინელ მოღვაწეებისა, რომლებიც თავის დროზე უკრაინის ცენტრალურ სახელმწიფოებთან შეერთებას მოითხოვდენ. პეტლიურას მთავარ შტაბში მოვიდენ ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, პოლონეთის და ბელორუსიის სამხედრო მისიები.

**მღელვარება ირლანდიაში.**

ირლანდიაში გრძელდება შეტაკებანი ირლანდიის დამოუკიდებლობის მომხრეებსა და პოლიციის შორის. ბალინალის მახლობლად 17 პოლიციელი მოკლეს. ქალაქ დუბლინში საერთო ჩხრეკა სწარმოებს. მკაცრის ბრძოლის გამო ადამსონმა ქვედა პალატაში წინადადება შეიტანა ირლანდიიდან ინგლისის ჯარების გამოწვევის შესახებ. წინადადება უარყვეს.

იტალიის მთელ რიგი ქალაქებში მღელვარებაა. ვერონეში სოციალისტმა სკორობელამ საერთო გაფიცვა გამოაცხადა. დაკრძალვის დროს აღშფოთებულმა მუშებმა შენობებიდან იტალიის ეროვნული დროშები ჩამოხიეს. ყაზარმების წინ ხალხი ყვიროდა: „ძირს ჯარი". ბოლონში მუშათა პარტიებმა გაფიცვა გამოაცხადეს. შეტაკება ხდება აგრეთვე ფლორენციაში, ბარეში და კოლობრინეში რკინის გზელები გაფიცულნი არიან.

**ინგლისი და საბჭოთა რუსეთი.**

ინგლისში რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების შესახებ მთავრობამ შეიმუშავა კანონ-პროექტი, რომელსაც მომავალ კვირეში გაარჩევს კაბინეტი. მოელიან რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენსა.

„ჰუმანიტე" სწერს, თუ მოლაპარაკება განახლდა ეს იქნება პირველი ნიშანი ინგლისის მხრით საბჭოთა რუსეთის ცნობისაო. თუ მოლაპარაკება არ განახლდა, მაშინ გაზაფხულში რუსეთს ახალი კოალიცია დაემუქრებაო.

# საბჭოთა რუსეთში

**ტროცკის განცხადება.**

სრულიად რუსეთის წითელ არმიელთა ყრილობაზე ტროცკიმ განაცხადა: შესაძლებელია, რომ პეტლიურას, სავინკოვს და ბალახოვიჩს რუსეთის წინააღმდეგ პოლონეთის მთავრობამ გაუღო კარები. ამ რიგათ პეტლიურას დროშით პოლონეთს შეუძლია რუსეთთან ომის წარმოება. შეეხო რა შემდეგ პოლონეთთან შეკრულ ზავს, ტროცკიმ განაცხადა: „საბჭოთა რუსეთი დამარცხდა. პოლონეთთან ომის შედეგები რუსეთის იმედებს და მოლოდინს რასაკვირველია არ ამართლებს. რუსეთს იმედი ჰქონდა, რომ პოლონეთში იგი რევოლიუციონურ მუშათა კლასს შეხვდებოდა, მაგრამ ამის მაგივრათ მას საუცხოვოთ შეიარაღებული კონტრევოლიუციონური ბანდები შეხვდენ.

**გრაფი პალენი.**

„იზვესტიის" მე-238 ნომერში იუწყებიან: თანახმად არსებულ ცნობებისა, გერმანიის საზღვარზე გადმოვიდა გრაფი პალენი, რომელსაც სავინკოვის სახელზე გაგზავნილი წერილები ჩამოართვეს. წერილებში აღნიშნულია, რომ ლატვიაში ხდება თეთრგვარდიელების შეკრებაო. აქვე აღნიშნულია, რომ სავინკოვს რიგაში ლატვიის მთავრობასთან და სარდლობასთან საიდუმლო მოლაპარაკება ქონდაო. მიაღწიეს კონტაქტს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ გასალაშქრებლათ. გალაშქრების მიზანი უნდა იყვეს საბჭოთა მთავრობის ჩამოგდება და მთლიანი რუსეთის აღდგენა. ამიტომ ლატვიის დამფუძნებელი კრების საგანგებო სხდომა არის მოწვეული.

**ესერების საქმიანობა**

რუსეთის მემარჯვენე ესერებმა თავისი ცენტრი პრაგაში გადაიტანეს. ორგანიზაციის სათავეში არიან: ზენზინოვი, მინარი, ბრუშვიგი და სხვ. ესერების მიზანს რუსეთში ბოლშევიკურ დიქტატურის ჩამოგდება შეადგენს. ჩეხიის სოციალისტებსა და ესერებს შორის მჭიდრო დამოკიდებულება არსებობს.

**ვრანგელის განადგურება.**

„პრავდა" სწერს: ყირიმი განთავისუფლებულია. აღებულია სიმფეროპოლი, სევასტოპოლი და ფეოდოსია. დასავლეთის ბურჟუაზიამ ვერ მოასწრო ვრანგელის აღიარება და რევოლიუციამ იგი უმალ წაშალა დედამიწის პირისაგან. რამდენიმე დღის შემდეგ ვრანგელი აღარ იქნება. თუ ჯერ არ დამდგარა კიდევ დრო იმისთვის, რომ მახვილი ნამგლათ გადავაკეთოდ იმის დრო მაინც დადგა რომ შეუდგეთ ნამგლების კეთებას. მტრების იმედები იმსხვრევა.

**ყირიმის თეთრგვარდიელების ევაკუაცია.**

ნოემბრის 11-დან საფრანგეთის გემებმა დაიწყეს ყირიმიდან ბურჟუაზიის გაყვანა. ვრანგელის მთავრობის უმაღლესი მოხელეები ლონდონში მოვიდენ. ლტოლვილები უმთავრესად კონსტანტინოპოლში მიყავთ. გალიპოლში ლტოლვილთა საჭიროებისათვის აკეთებენ ბარაკებს. ინგლისის ფლოტს მიყავს მხოლოდ ინგლისის ქვეშევრდომები.

**ციმბირის თეთრგვარდიელთა ევაკუაცია.**

სემიონოვის რაზმები მანჯურიაში გარბიან მათი რიცხვი 20—80 ათას კაცს უდრის. სემიონოვცებს თან მიაქვთ 70 ფუთი ოქრო.

**ხორვის ახალი მიზნები.**

ინგლისის ფლოტს შავ ზღვაში ახალი მიზანი აქვს: შეუშალოს ხელი ბალშევიკების ოსმალეთის ნაციონალისტებთან შეერთებას.

---

# მდგომარეობა დაღესტანში.

დაღესტნიდან ახლად დაბრუნებულმა ოფიციალურმა პირმა შემდეგი გვიამბო იქაური მდგომარეობის შესახებ:

მიუხედავათ საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებული სასტიკ რეპრესიულ ზომებისა მოძრაობა დღითი-დღე ძლიერდება. ამ ჟამად ავარსკის, ანდიისა და გუნიბის ოლქები სრულიად განწმენდილ არიან წითლებისაგან. საბჭოთა მთავრობა არსებობს ჯერ კიდევ მხოლოდ შურამსკისა და ტაბასერანსკის რაიონებში, სადაც არტილერიის უქონლობის გამო მცხოვრებლებმა ვერ გაუწიეს ბოლშევიკებს საჭირო წინააღმდეგობა. ამ ჟამად ბრძოლა სწარმოებს 12 ვერსტს დაშორებით ქ. ტ. ხ. შურიდან. ბოლშევიკების ხელშია ხუნზახის ციხე, მაგრამ ის გარშემორტყმულია მეამბოხეთა მიერ. მეამბოხეთა მისაშველებლად ყველა კუთხიდან მიეშურებიან რაზმები,

მაგრამ ბოლშევიკები მათ გზაზე ხვდებიან და ნაწილ-ნაწილად ამარცხებენ. ბოლშევიკებს ეხმარებიან უმეტესად კუმიკები და მცირედი ნაწილი ქვემო დაღესტნის მცხოვრებლებისა, რომლებსაც ბოლშევიკები აულების აოხრებით ემუქრებიან, თუ ისინი მათ არ დაეხმარებიან. მოძრაობას ხელმძღვანელობს ახალგაზრდა სტუდენტი იმილ შამილის შვილისშვილი. ამ განმათავისუფლებელ მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებს აგრეთვე ყოფილი პოლკოვნიკი ფირალოვი, რომელიც დაღესტანშია დაბადებული. ადგილობრივი საბჭოთა მთავრობა დიდს იმედს ამყარებს მთიელთა საბჭოთა რესპუბლიკის გამოცხადებაზე, რომლითაც, მათის აზრით, შესაძლებელი იქნება ჩრდილო კავკასიაში ამბოხების ჩაქრობა.

## ამერიკა-საქართველოს დამოკიდებულება.

ამერიკაში 4 თვის ყოფნის შემდეგ ტფილისში დაბრუნდა ამერიკის კონსული დუ-ლიტლი, რომელმაც საქართ. დეპ. სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს აღნიშნა, რომ ამერიკაში ევროპის პოლიტიკურ საქმეების მიმართ სრული ინდიფერენტული დამოკიდებულება არის გამეფებული. ამერიკის ცხოვრება თანდათან ნორმალურ კალაპოტში შედის. ჯარი გაუშვეს, მხოლოდ 200.000 კაცი არის დატოვებული. ამიტომ ზედმეტია ლაპარაკი ამერიკის საზღვრებიდან ჯარის გაყვანის შესახებ. ეკონომიური ცხოვრება თანდათან ლაგდება. საქონელი მოქალაქეთა ერთსულოვან ბოიკოტის გამო იაფდება. ბაზარი საქონლით არის სავსე, ეს აიხსნება იმითაც, რომ საზღვარ-გარეთ საქონელი ნაკლებათ გააქვთ. ფასების დაცემა შემდეგ ციფრებში გამოიხატება: კოსტიუმი, რომელიც აგვისტოში 65 დოლარი ღირდა—ოქტომბერში 45 დოლარი ღირდა, შაქრის ფასი 25 ცენტიდან 18 ცენტამდე დაეცა და ასე სხვაზე. უკანასკნელ თვეებში გაფიცვები შეწყდა. რეაქცია არა მარტო მუშებს შორის, არამედ მთელ საზოგადოებაში არის გამეფებული. მხოლოდ 20% მუშებისა თუ იღებს მონაწილეობას მუშათა კრებებში. ფასების დაცემაზე კარგმა მოსავალმაც იქონია გავლენა.

მთავრობის მიერ მიღებულია ზომები ფინანსიურ ცხოვრების მოსაწესრიგებლათ. ნება დართულია თავისუფალი გაცვლა საკრედიტო ბილეთებისა ოქროზე.

ამერიკა არ იცნობს კარგათ საქართველოს საქმეებს, მაგრამ მიუხედავათ ამისა მისი საქართველოსთან დამოკიდებულება უეჭველათ სიმპატიურია. ამერიკის ხალხს უყვარს თავისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, იგი მზათ არის მორალურათ ყოველ ერს დაუჭიროს მხარი დამოუკიდებლობის მოპოვებაში, მაგრამ არსებითად ამერიკას არ აქვს ნათლად წარმოდგენილი დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის. საბჭოთა რუსეთს ამერიკა თანაგრძნობით არ უყურებს.

ასეთი დამოკიდებულება კერძოთ იმაშიაც გამოიხატება, რომ ამერიკამ საბჭოთა დელეგატებს უბრძანა დაეტოვებიათ ამერიკის საზღვრები. ამერიკის ხალხი ბოლშევიზმს დროებით მოვლენათ სახავს, ამიტომ იგი მომხრეა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენისა, თუმცა ამავე დროს იგი უარყოფს რუსეთის არსებულ მთავრობას. ამერიკა ევროპის საქმეებში ჩარევის წინაამდეგი არის. ბუნებრივია ამიტომ, რომ ამერიკას არ შეეძლო ცოტათ თუ ბევრათ სერიოზულათ მოჰკრობოდა საკითხს სომხეთზე მანდატის მიღების შესახებ. უკანასკნელ დროს ახალი პრეზიდენტის არჩევის გამო ამერიკა-ევროპის პოლიტიკას უფრო ჩამოშორდა.

## ე. პ. გეგეჭკორი ლონდონში.

„იზვესტია“ სწერს: თანახმათ ინგლისის პრესის ცნობისა, ლონდონში ყოფნის დროს, საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრს გეგეჭკორს რწმენა გამოუთქვამს, რომ ინგლისი კავკასიის განთავისუფლების საქმეს საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულ აღიარებით დაასრულებსო. შემდეგ იზვესტია სწერს: ინგლისმა თავისი ყურადღება მიაპყრო კავკასიას, სადაც ინგლისის კაპიტალის მოქმედებას დიდი ასპარეზის ნახვა შეუძლიაო.

## შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან

**რესპუბლიკის სამაზრო ერობებს.**

თანახმად მიღებულ ცნობებისა რესპუბლიკის მაზრებში არ არის სათანადოდ მოგვარე-

# კანტორისაგან

## გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კანტორა

**უკანასკნელად აცხადებს ნისია ხელის მომწერ დაწესებულებათა საყურადღებოთ, რომ 20 ნოემბრიდან მათ გაზეთი მოესპობათ თუ აღნიშნულ დრომდე ფული არ შემოიტანეს.**

ბული საქმე დაჭრილ-დასახიჩრებულთათვის დახმარების აღმოჩენისა: მიუხედავად 1919 წ. 31 იანვრის და 10 ივნისის კანონებისა და სამხედრო სამინისტროს მიერ მიღებულ ზომებისა, ადგილი ჰქონია მრავალ დეფექტებს, რომლებმაც უკიდურესობამდე მიიყვანა დაჭრილ-დასახიჩრებულთა მდგომარეობა, ასე მაგალითად: 1) არ არსებობს დაჭრილ-დასახიჩრებულთა რეგისტრაცია, რის გამო დახმარება ეძლევათ მხოლოდ იმ პირთ, რომელნიც გამოცხადდებიან. უმრავლესობამ კი არ იცის არსებობს თუ არა რაიმე დახმარება და ყოველივე დახმარების გარეშე რჩებიან; 2) მიუხედავად 1919 წ. 31 იანვრის წესების მესამე მუხლისა, დახმარება ეძლევათ ყველას ერთნაირად განურჩევლად შრომის უნარ დაკარგულების ხარისხისა; 3) დახმარება რიგდება არა ყოველ თვიურად, როგორც ეს უნდა ხდებოდეს თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტროს ამა წლის 23 ივნისის № 13147 ცირკულიარისა, არამედ ზოგიერთ ერობებში მაგალითად, დახმარება გაუცემელია ამა წლის 1-ლ ივნისიდან; 4) დანახარჯის ანგარიშები ზოგიერთ ერობებში სრულიად არ არის შედგენილი. ზოგიერთებში კი არ იტოვებენ სათანადო გასამართლებელ საბუთებს, ამგვარად ანგარიშების წარმოება, თავის თავად ცხადია აბრკოლებს ახალ თანხების გადაგზავნას; 5) თემები არ იღებენ არავითარ ზომებს საქმის მოგვარებისათვის, გატყობინებთ რა ამას გავალებთ მიაქციოთ ჯეროვანი ყურადღება დაჭრილ-დასახიჩრებულთათვის დახმარების საქმეს და გასცეთ სათანადო განკარგულება, რათა სასტიკად იქნეს დაცული კანონის მიერ დაკისრებული ზომები.

## ახალი ამბები

✦ **იაფ ფასიან სასადილოების გახსნა.** იაფ ფასიან სასადილოების გახსნა განზრახულია შემდეგ რაიონებში: ნაძალადევში, ვერაზე, რუსთაველის პროსპექტზე, ერთობის უბანში, ორთაჭალაში, ნავთლუღში, და სხვა. სასადილოებისათვის საჭირო ბინებს ეძებს საგანგებო კომისია, რომლის შემადგენლობაშიაც შედიან: ქალაქის პროფესიონალურ კავშირის სეკრეტარიატის და კოოპერატივთა კავშირის წარმომადგენლები. სეკრეტარიატის წარმომადგენელათ დანიშნულია ბიბელაიშვილი.

✦ **მარგანეცის ექსპორტი.** ფოთში დანიშნულია საგანგებო სხდომა, რომელზედაც განიხილავენ საკითხს მარგანეცის ელევატორის მოქმედებაში მოყვანისათვის საჭირო ზომების გამონახვის შესახებ.

✦ **შინაგან საქმ. მინისტრის დაბრუნება.** ნოემბრის 17 ბათუმიდან ტფილისს დაბრუნდა შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. ბ. რამიშვილი. ბ-ნი მინისტრი გზაში გაცივებულა და თავს შეუძლოთ გრძნობს. ახლო მომავალში კი შეუდგება თავის თანამდებობის ასრულებას.

## დამფუძნებელი კრება

**16 ნოემბრის სხდომა.**

თავმჯდომარეობს **ხ. მდივანი.**

ივ. გომართელის მოხსენებით მიღებულ იქნა სარედაქციო კომისიის ზოგიერთ შესწორებით საბოლოო ტექსტი კონსტიტუციის პროექტის განხილვის წესისა.

საბიუჯეტო საფინანსო კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს **იოს. ხალაყაია** საზღვარ გარეთიდან ზოგიერთ საგნების შემოტანის აღკრძალვის შესახებ. ომის დროს, ამბობს მომხსენებელი, წონასწორობა იმპორტსა და ექსპორტს შორის დაირღვა. მის შემდეგ ეს მდგომარეობა არ შეცვლილა; შემოტანილ საქონლის რაოდენობა გაცილებით სჭარბობს სახელმწიფოდან გატანილ საქონლის რაოდენობას და ეს გარემოება ძირს სცემს ფულის კურსს და სახელმწიფოს ფინანსიურ-ეკონომიურ მდგომარეობას. მომხსენებელი ეხება დასავლეთ ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოების ბიუჯეტს და აღნიშნავს აქაც ბიუჯეტის არა ნორმალურ მდგომარეობას. რომ ცოტათი მაინც დაუახლოვდეს ნორმალურ მდგომარეობას შემოზიდვა-გაზიდვის საქმე,—საჭიროა მიღებულ იქნეს მთელი რიგი ზომებისა და ამით რიცხვში შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რასაც დეკრეტი ჰგულისხმობს; დეკრეტი მოითხოვს აღკრძალულ იქნეს ზოგიერთ ფუფუნების საგნების შემოტანა, რაც ხალხისათვის არ წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას.

**გრ. რცხილაძე.** (ს.-ფ.) მწუხარებას გამოსთქვამს, რომ აღნიშნულ ფინანსიურ ღონისძიების შესახებ არ არის წარმოდგენილი დამფ. კრების წინაშე უმაღლეს ფინანსიურ ორგანოს მოსაზრებები. ასეთ ღონისძიებებს, ორატორის აზრით, თან უნდა ახლდეს დასახელებულ ორგანოს ვარაუდი იმის შესახებ, თუ რამდენათ იქნება ესა თუ ის ზომა მიზან შეწონილი და სასარგებლო. ორატორი მომხრეა ფუფუნების საგნების შემოტანის აღკრძალვისა.

მომხსენებლის მცირე განმარტების შემდეგ დეკრეტი ერთხმათ იქნა მიღებული.

თვითმართველობის კომისიის სახელით **მელ. რუხია** მოხსენებას აკეთებს ქალ. ბათომის თვითმართველობისათვის ბათომის ხაზინაში საფუთო გადასახადიდან შემოსულ 7.336,660 მან. მიცემის შესახებ. მომხსენებელი განმარტავს, რომ საფუთო გადასახადიდან სულ შემოსულ თანხიდან ორი მესამედი უკვე გადასცა ხსენებულ თვითმართველობას ინგლისის საოკუპაციო მთავრობამ; ხოლო დანარჩენის გადაცემა მან ვერ მოასწრო. საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის სახელითაც **კირ. ნინიძე** მოითხოვს ხსენებულ თანხის ბათომის თვითმართველობისათვის გადაცემას, მაგრამ მას ჰგონია, რომ ამისთვის არ არის საჭირო განსაკუთრებული დეკრეტი.

კენჭის ყრით დამფუძნებელ კრების მიერ მიღებულ იქნა საბ.-საფ. კომისიის წინადადება და გადასწყდა დეკრეტი უკანვე დაუბრუნდეს სათანადო უწყებას.

## ფინანსიურ-ეკონომიური ცხოვრება

ფინანსთა მინისტრის საბჭოს ნოემბრის 15 გამართულ სხდომაზე განიხილეს საკითხები:

1) ჭიათურის სააქციონერო ბანკის წესდებისა და 2) ყვირილის სააქციონერო ბანკისა და ქიზიყ-კახეთის სავაჭრო-სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ბანკის დამტკიცების შესახებ. საკითხის განხილვის შემდეგ საბჭომ დაადგინა ნება დართოს აღნიშნულ ბანკების დაარსებისა და სთხოვოს ფინანსთა მინისტრს დაამტკიცოს მათი წესდებები.

— საბჭომ მოიწონა აგრეთვე საკითხი ტფილისის მეორე საურთიერთო კრედიტის საზოგადოების ტფილისის სავაჭრო-სამრეწველო ბანკად გადაკეთების შესახებ ძირითად თანხის გადიდებით. საკითხი საერთოდ საბაჟო ტარიფის შესახებ გადაიდვა შემდეგ სხდომისათვის, რომელზედაც მოიწვევენ მომარაგების სამინისტროს და სავაჭრო სამრეწველო პალატის წარმომადგენლებს.

— ფინანსთა, ვაჭრობა და სამრეწველოს სამინისტრომ დაამტკიცა წესდება ახალ სააქციონერო საზოგადოებისა შინაურ და საგარეო ვაჭრობის შესახებ წესდება გამოსაქვეყნებლად სენატს გადაეგზავნა. ახალ საზოგადოებას აქვს მიზნად ქარხნების, ფაბრიკების და სხვ. საწარმოო დაწესებულებების მოწყობა, რომ ამ გზით განავითაროს რესპუბლიკის მრეწველობა.

— ფინანსთა სამინისტროში დანიშნულია კრება ტფილისის და მისი მაზრის ხარჯთაღმრიცხველთა ინსპექტორებისა.

— სტამბოლში მყოფი საქართველოს სამინისტროს ეკონომიური აგენტი იუწყება: უკანასკნელ დღეებში ამერიკისა და იაპონიის წარმომადგენლებმა გამოსთქვეს სურვილი, რომ მიყიდონ საქართველოს გემები, ამასთანავე ამერიკელები ითხოვენ გემების საფასურს არა ფულით, არამედ მარგანეცის გადახდას. ეკონომიური აგენტი სთხოვს ფინანსთა სამინისტროს სახელმძღვანელოდ დირექტივებს. ამასთანავე სტამბოლიდან იუწყებიან: აქ საგრძნობლად გაიზარდა ინტერესი საქართველოს ნავთსადგურებსა და სტამბოლის შორის გემების წესიერ მიმოსვლის მოწყობისა. ევროპის მრეწველები საქართველოს მარგანეცით და ქვანახშირით მეტად დაინტერესებულნი არიან.

მოთხოვნილების გაზრდის გამო დაარსდა საგანგებო საგემო საზოგადოება, რომლის მიზანსაც საქართველოსა და ევროპის შორის სამგზავრო და საბარგო გემებით მიმოსვლის მოწყობას შეადგენს.

## სენატი

სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საკრებულო სასამართლო სხდომაში განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები:

((სხდომის გახსნა დილის 10 საათზე)

საქ. 88. მაგ. 1. საკასაციო საჩივარი ბრალდებულ სანდრო იაგორის ძის ბოკუჩავასი, ქუთაისის ოლქის სასამართლოს 1920 წ. 20 აპრილის განაჩენზე, რომლითაც ბრალდებული თანახმად 1 ნაწ. 1549 მუხ. სასჯ. დებ. ცნობილია დამნაშავედ.

საქ. № 57. მაგ. 2. საკასაციო საჩივარი საშა, მინაგო და სერგო მაღრაძეების ვექილის ბესარიონ გაჩეჩილაძისა, შორაპნის მაზრის სამომრიგებლო ოლქის ყრილობის 1919 წ. 29 ნოემბრის განაჩენზე, რომლითაც ბრალდებულნი მაღრაძეები ცნობილ იქნენ დამნაშავედ ფარულათ დამზადებულ ხის მასალის ტყიდან გატანაში და თანახმად 154 მ. მომრ. მოსამ. წესდ. დაპატიმრებულ იქნენ თითოეული მათგანი სამ-სამი თვით ციხეში.

საქ. № 84. მაგ. 2. საკასაციო საჩივარი თებრონე სკამკოჩაიშვილისა, გურიის ოლქის მომრიგებელ მოსამართ. ყრილობის 1919 წ. 20 დეკემბრის განაჩენზე, რომლითაც ბრალდებული თებრონე სკამკოჩაიშვილისა ცნობილია დამნაშავედ და თანახმად 119 მუხ. სის. სამ. წესდ. და 2 ნაწ. 1483 მუხ. სასჯ. დებ. მისჯილი აქვს ორი თვით ციხეში დაპატიმრება.

საქ № 131. მაგ. № 1. ბრალდებულ შაქრო ბესტავიშვილის დამცველის ნაფ. ვექ. ბერძულისას და ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხ. დ. ვ. აბაშიძის საკასაციო პროტესტისათვის სასამართლოს 2 ენკენისთვის 1920 წ. განჩინებაზე, რომლითაც ბრალდებული ცნობილია დამნაშავედ სასჯ. დებ. 1454 და 3 პ. 1453 მუხ. გათვალისწინებულ ბოროტმოქმედებაში.

საქ. № 75. მაგ. 2. საკასაციო საჩივარი აქციზის სამმართველოსი რაფიელ ჭილიშვილის საქმეზე, რომლითაც ჭილიშვილი ცნობილია დამნაშავედ სააქციზო წესდების დარღვევაში.

## რკინის გზელთა შორის.

კარლ კაუცკიმ, რომელმაც ინახულა რკინის გზელთა პროფესიონალურ კავშირის ცენტრალური გამგეობა, მოკლე მისასალმებელ სიტყვაში სხვათა შორის სთქვა: „მე ვინახულე თქვენი კავშირი იმ მიზნით, რომ გამეცნო სახელმწიფო მეურნეობის ერთი დიდი დარგი, რომელიც რკინის გზელებს აქვს ჩაბარებული. ვეპყრობი რა საერთოთ ღრმა პატივისცემით მუშათა ორგანიზაციებს, მე მაინც მინდა ჩემი განსაკუთრებული სიმპატია განვუცხადო რკინის გზელთა კავშირს, რომელიც აერთებს საქართველოს ევროპასთან ტეხნიკური მხრით. კავშირის მნიშვნელობა დიდია აგრეთვე ეკონომიურ სფეროშიაც. ამიტომ რკინის გზელთა კავშირისაგან არის დამოკიდებული ბედი რევოლიუციისა და საქართველოს ახალგაზრდა რესპუბლიკისა. რკინის გზის მთავარ სახელოსნოების დათვალიერების დროს კარლ კაუცკიმ განაცხადა, რომ ყველაფერი ეს მას ევროპის და კერძოდ გერმანიის სახელოსნოებს აგონებსო.

# ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოში.

ბორჩხაში საფოსტო ოპერაციები განახლდა.

ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ შეადგინა მოხსენება ფოსტა-ტელეგრაფის მოქმედების შესახებ სექტემბრის განმავლობაში. ამ თვის განმავლობაში ფოსტა-ტელეგრაფის მოქმედება მეტად გაძლიერდა. შარშანდელთან შედარებით ფოსტას წელს 200.000 უბრალო წერილით მეტი გადაუგზავნია. დაზღვეული წერილი 6.000-ით მეტი. ამასთანავე შემოსავალი 159 მილ. მან. გაზრდილა. სულ სექტემბრის განმავლობაში ფოსტას გადაუგზავნია: უბრალო წერილი 991.050, დაზღვეული 45.000 და სხვა.

---

ნამდვილზე აწერია.
„ვამტკიცებ, 19 ოქტ. 1920 წ. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის ამსრულებელი“
ხ. ავალიანი.

# წესდება

## დახავლეთ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო ბანკისა.

### IV. აქციონერთა საზოგადო კრება.

§ 70. საზოგადო კრების განსახილველმა საქმემ გამგეობის ხელში უნდა გაიაროს და წინასწარ განხილულ იქნას საბჭოში თუ რომელსამე აქციონერს სურს წარუდგინოს კრებას რაიმე აზრი ბანკის სასარგებლოდ, ანუ იჩივლოს მის წინაშე მართვა-გამგეობის წევრთათვის, თვით გამგეობის მოქმედებისაც-კი, უნდა მიმართოს გამგეობას, რომელიც წარმოუდგენს ამ აზრს, გინდა საჩივარს საბჭოს განსახილველად თვისი აზრისა ანუ განმარტების ზედართვით. საბჭოზეა დამოკიდებული საქმის შემდეგი მიმართულება, ამასთანავე წინადადება მაინც ერთი კვირით წინ საზოგადო კრებამდე გამგეობაში წარდგენილი აქციონერთა მიერ, რომელთაც ეკუთვნის $^{1}/_{40}$ ძირითადი თანხისა, უნდა მოხსენდეს განსახილველად საზოგადო კრებას გამგეობის და საბჭოს აზრის ზედდართვით.

§ 71. საზოგადო კრების აუცილებელ მოვალეობას შეადგენს:

ა) არჩევა საბჭოსა და გამგეობის წევრთა.

ბ) საბოლოო დამტკიცება ბანკის წლიურის ანგარიშისა და წლიურისავე ხარჯთ-აღრიცხვისა.

**შენიშვნა:** ანგარიშების განსახილველად და საზოგადოდ ბანკის მოქმედებისა და საქმეების შესამოწმებლად საზოგადო კრება ირჩევს ცალკე სარევიზიო ხუთ წევრიან კომისიას იმ წესთა მტკიცე დაცვით, რომელიც აღნიშნულია დეკემბრის 21 ს 1901 წლის კანონის მუხლებში 14, 15, 16 და 17.

გ) გარდაწყვეტილება ბანკის განყოფილებათა და სააგენტოთა დაარსებისა.

დ) გარდაწყვეტილება უძრავ ქონების შეძენისა ბანკის საჭიროებათათვის.

ე) გარდაწყვეტილება წესდების ამა თუ იმ მუხლის შეცვლისა და დამატებისათვის.

ვ) გარდაწყვეტილება ბანკის თანხის გადიდებისა თუ შემცირებისათვის.

ზ) გარდაწყვეტილება ბანკის გაუქმებისა და მის საქმეთა ლიკვიდაციისათვის.

**შენიშვნა:** დადგენილება საზოგადო კრებისა ბანკის განყოფილებათა და სააგენტოთა დაარსებასათვის, წესდების შეცვლისა და დამატებისათვის, აგრეთვე თანხის გადიდებისა თუ შემცირებისათვის გამგეობამ ფინანსთა მინისტრს უნდა წარუდგინოს გარდასაწყვეტად.

72. ყოველგვარი არჩევანი საზოგადო კრებაზე იმ წესითა სწარმოებს, რომელსაც თვით კრება დაადგენს. კენჭის ყრა ფარული უნდა იყოს, თუ ამას მოითხოვს თუნდ ერთი აქციონერი, რომელსაც ხმა აქვს. ფარული კენჭის ყრა სავალდებულოა, თუ საქმე შეეხება გამგეობის, საბჭოს და სალიკვიდაციო კომისიის წევრთა არჩევასა ან გადაყენებას და მათ სამართალში მიცემასა.

73. მუშაობა ერთის საზოგადო კრებისა, თუ საჭიროა, შესაძლოა განგრძობილ იქმნას რამდენსამე დღეს, მაგრამ არა უმეტეს ერთი კვირისა. დრო კრების განგრძობისა თვით კრებამ უნდა დანიშნოს ხოლმე.

74. იმ აქციონერებს, რომლებიც წევრნი არიან მართვა-გამგეობისა ან ზედამხედველ ორგანოებისა, კენჭის ყრაში მონაწილეობის მიღების ნება არა აქვთ არც პირადად და არც სხვა აქციონერების ვექილობით იმ შემთხვევაში, როცა გადასაწყვეტი საგანი შეეხება მათ სამართალში მიცემას ან სამართალში მიცემისგან განთავისუფლებას, თანამდებობიდან მათ გადაყენებას, მათთვის სასყიდლის დანიშვნას და მათ მიერ ხელმოწერილ წლიურ ანგარიშების დამტკიცებას. როცა გადასაწყვეტია საქმე პირობის შეკვრისა ბანკის მიერ იმასთან, ვინც აქციონერთა შორის ირიცხება, იმას არ შეუძლია ხმა იქონიოს კრებაზე, არც პირადათ, არც სხვა აქციონერების ვექილობით.

75. თუ აქციები მემკვიდრეობით ანუ სხვა გზით რამდენსამე პირს დარჩა, ვიდრე ეს აქციები საერთო მფლობელობაშია, ხმის უფლება და მონაწილეობის მიღება საზოგადო კრებაზე მიეცემა მხოლოდ ერთს მათგანს, მათ მიერვე არჩეულს.

76. იმ საქმეთათვის, რომელსაც კრება განიხილავს და გადასწყვეტს, უნდა შესდგეს დაწვრილებითი ოქმი კრების გადაწყვეტილებასთან ერთად; ოქმში მოხსენებული უნდა იყოს, რამდენი ხმის უმეტესობით მიიღო კრებამ ესა თუ ის გადაწყვეტილება და აღნიშნოს ისიცა, თუ ვინ რა აზრი გამოსთქვა. ოქმს ადგენს თავმჯდომარის მიერ ცალკე მოწვეული კაცი და თან თავმჯდომარე კრების პასუხისმგებელია, თუ ოქმი არ ეთანხმება იმ მსჯელობა-გადაწყვეტილობას, რასაც კრებაზე ჰქონდა ადგილი. ოქმის სწორედ შედგენას ამოწმებს თავმჯდომარე კრებისა და აგრეთვე სხვა აქციონერებიცა, სურვილისამებრ, მხოლოდ რიცხვი მათი, სამზე ნაკლები არ უნდა იყოს. გამგეობის მიერ შემოწმებული პირი საზოგადო კრების ოქმისა, ცალკე აზრისა და საზოგადოდ ყოველი მისი დამატებისა უნდა მიეცეს თითოეულ აქციონერს, თუ კი ეს მან მოისურვა.

---

## განცხადებანი

დაიკარგა პასპორტი რაშიდ ალი მამედ ოღლის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3690 3—3

---

დაიკარგა ორი ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფრ. ნოტარიუსის მიერ 1882 წ. რეესტრით № 1906 და 1902 წ. რეესტრით № 1144 და ოთხი სიმტკიცის მოწმობა აღნიშნულნი: 1895 № 2341; 1913 წ. № 1358; 1902 წ. № 337 და 1915 წ. № 2521 ეკატერინე მიხეილის ასული ნადიროვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3673 3—3

---

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ზნაკვის საზოგადოებიდან (სენაკის მაზრა) და სამხედრო ნუსხა, მიღებული სენაკის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან პარმენ ხოსიას ძე მიქიაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3678 3—3

---

დაიკარგა მოწმობა ოჯახური მდგომარეობის შესახებ № 171 მიტროფანე სპირიდონის ძე დევდარიანის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის მილიციონერთა კავშირიდან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3687 3—3

---

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველო თახახმად პავლე ივანეს ძე ჯღარკავას განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს პირადობის მოწმობა მიცემული სენაკის მაზრის უფროსისაგან, ორი ცყენის ნასყიდობა და ქუთაისის ქალაქის გამგეობისაგან მიცემული წყლის ზიდვის მოწმობა № 8, სთხოვს მპოვნელს აღნიშნული საბუთებისა წარმოადგინონ მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლათ კუთვნილისამებრ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულად ჩაითვალოს. 3719 3—2

---

დაიკარგა პასპორტი № 824 ლავრენტი ოსიკას ძე მელქაძის სახელზე, მიღებული კულაშის თემის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3712 3—2

---

დაიკარგა მოწმობა № 600, მიღებული ჩიბათის თემის გამგეობიდან და სამსახურის ნუსხა, მიღებული ოზურგეთის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. მოსე როსტომის ძე ჯორბენაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3713 3—2

---

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების ნუსხა ტერენტი ნიკას ძე მახათაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3714 3—2

---

დაიკარგა პასპორტი გრიგოლ ფილიპეს ძე კლაპიას სახელზე, მიღებული კვათანის ერობის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3715 3—2

---

დაიკარგა ტფ. სასულიერო სასწავლებლის ხუთი კლასის დამთავრების მოწმობა, ნიკოლოზ გიორგის ძე გახარიას სახელზე, მიღებული 1917 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3716 3—2

---

დაიკარგა პასპორტი № 315 ისმაილ მეხუთი ოღლის სახელზე, კრახკსეიმანის სოფ. სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3693 3—2

---

დაიკარგა პირადობის მოწმობა პოგოს რაფიელის ძე ნიკოგოსოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3694 3—2

---

დაიკარგა საოჯახო პასპორტი პარმენ ანტონის ძე ისაკაძის სახელზე, მიღებული მუხლის (რაჭის მაზრა) კომისარისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3696 3—2

---

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი დავით ადამის ძე დოდაშვილის სახელზე, დამტკიცებული ტფ. უფროს ნოტარიუსის მიერ 1890 წ. რეესტრით № 484. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3697 3—2

---

დაიკარგა საოჯახო პასპორტი სიმონ ივანეს ძე პშენიჩნის სახელზე, მიღებული ტფ. მაზრის მილიციის უფროსისგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3698 3—2

---

დაიკარგა პასპორტი № 9396 ალექსანდრე ანრიას ძე ნიკოლაევის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტერის სამმართველოდან 1911 წელში. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3699 3—2

---

დაიკარგა საოჯახო პასპორტი გიორგი ალექსის ძე ხელაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3701 3—2

---

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ანა ლუკიანის ასული ტატოსოვის (იგივე ტადეოსვიანის) სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსის მიერ რეესტრით № 1047—1908 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3686 3—3

---

დაიკარგა პასპორტი ჩოხატაურის თემიდან მიღებული და ნუსხა მიღებული ოზურგეთის სამხედრო უფროსისაგან ლევანტი ლუკას ძე სიმონიას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3705 3—2

---

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული ქუთ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან და მეტრიკა პარმენ ანტონის ძე ისაკაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3703 3—2

---

დაიკარგა „ფრიდონოვის და კომპ.“ ბანკის ბარათი № 6297 გენერალი გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგის სახელზე; მიღებული აგვისტოს 23 ს 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3775 3—1

---

დაიკარგა ორ კლასის დამთავრების მოწმობა № 82 ქსენია კვეროელიძეს სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3736 3—1

---

დაიკარგა კონდაკი, მოცემული საქართველოს კათოლიკოსისაგან და პირადობის მოწმობა, მიღებული კონსტანტინოპოლში საქართველოს მისიიდან არმაზის მონასტრის მღვდელ მონოზანი ილიას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 1—1

---

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული სოფ. ეკის (სენაკის მაზრა) კომისარიატიდან და თავისუფლების მოწმობა, მიღებული სენაკის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან ამბაკო ფარლალავას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3738 3—1

---

რუსეთის სატრანსპორტო და დამზღვევ საზოგადოების ტფილისის კანტორა აცხადებს, რომ აუქციონი დანიშნული 13 ნოემბრისათვის გადატანილია 20 ნოემბრისათვის დილის $9^{1}/_{2}$ ს. 3735

---

დაიკარგა ნაძალადევის უბნის სახალხო გვაშტაბიდან მიღებული წიგნაკი 1 რაიონის ს. დ. მ. პ. წიგნაკი და პირადობის მოწმობა სურათებით მიღებული უმთ. რკ. გზის სახელოსნოდან ვასილი ალექსის ძე ვაშაკიძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3759 3—1

---

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 469 პავლე მელიტონის ძე თოფურიას სახელზე მიღებული კვათონის საერობო გამგეობიდან გაუქმებულად ჩაითვალოს. 3728 3—1

---

დაიკარგა ნუსხა და პასპორტი № 3 თადეოზ ზურაბის ძე ქოიავას სახელზე, მიღებული სენაკის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3728 3—1

---

დაიკარგა. პირადობის მოწმობა № 165 ამირანი ბესარიონის ძე კოსტავას სახელზე, მიღებული ხობის თემის ერობის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3728 3—1

---

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 305 მუხრან ნიკოს ძე რეკვავას სახელზე მიღებული ხობის თემის ერობის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3728 3—1

---

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 18 მალაქია იონას ძე ტყებუჩავას სახელზე, მიცემული ქალაქ სენაკის კომისრიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3728 1—1

---

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 80 პეტრე ივანეს ძე მანტუროვის სახელზე. მიცემული ტყიბულის მაღაროების ინჟინერ წულუკიძისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3728 3—1

---

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 16 გრიგოლ ლუკას ძე ბალდაძის სახელზე, მიცემული მე-3 მე ქვეითა ათასეულის უფროსისაგან გაუქმებულად ჩაითვალოს. 3728 3—1

---

დაიკარგა უვადო პასპორტი № 480 ბაგრატი დავითის ძე გიორგაძის სახელზე მიცემული ქუთაისის ქალაქის მილიციის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს 3728 3—1

---

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 770 გრიგოლ ვარდენის ძე გამყრელიძის სახელზე. მიღებული ქუთაისის პირველ ვაჟთა გიმნაზიის დირექტორისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს 3728 3—1

---

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 913 იულო კონსტანტინეს ძე ზაქარაიას სახელზე, მიცემული საქართველოს საკონსულოდან ბაქოში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3728 3—1

---

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 191 არჩილ მაქსიმეს ძე ჭელიძის სახელზე მიღებული ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. 3728 3—1

---

დაიკარგა უვადო პასპორტი № 645 მარუქ გრიგორის ძე სტეფანიანის სახელზე, მიღებული ყარსის კომისარიატიდან 1917 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3720 3—1

---

დაიკარგა ჯვრის წერის მოწმობა ელისაბედ ბერძენოვის ასული ცელკოვიჩის სახელზე, მიღებული კალოუბნის ეკლესიიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. (უფ.) 1—1

---

დაიკარგა პასპორტი ლევან მელქუნას ძე სტეფანიანცის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3721 3—1

---

დაიკარგა პასპორტი, და მოწმობა, მიღებული კავთისხევის თემის მილიციიდან და მეტრიკა იოსებ მიხეილის ძე ირემაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3724 3—1

---

დაიკარგა პასპორტი ხაიმ მიშა იფრაიმოვის სახელზე, მიღებული ბაქოში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3730 3—1

---

დაიკარგა პასპორტი ეკატერინე მიხეილის ასული გოცირიძის სახელზე; მიღებული საქართველოს წარმომადგენლისაგან ქ. ბაქოში გაუქმებულად ჩაითვალოს. 3733 3—1

---

დაიკარგა პასპორტი № 165 მიღებული მარნის თემის გამგეობიდან და სამსახურის ნუსხა № 1475, მიღებული სენაკის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან მაკარი გიორგის ძე ფალავას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3734 3—1

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. ასრ. გრიგოლ მაჯაგალაძე.